

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის**

შპს აი სისტემსი ს/კ 405188069


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ვალუტა -

ლარი

	31/12/2024	31/12/2023	01/01/2023
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	598768	943650	297931
სავაჭრო და სვა მოთხოვნები	442955	317657	72237
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	275522	67726	154811
მოკლევადიანი მარაგები	709711	390306	299515
სხვა საგადასახადო აქტივი	148416	2157	71024
სხვა არამატერიალური აქტივი	29208	34361	38926
ძირითადი საშუალებები	476099	417497	440842
სულ აქტივები	2680679	2173354	1375286
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	105423	107251	63789
სხვა ფინანსური ვალდებულებ თანამშრომლ	2060	10300	0
საგადასახადო ვალდებულებები		36412	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	833819	414362	580508
სულ ვალდებულებები	941302	568325	644297
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	500	500	500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1738877	1604529	730489
სულ საკუთარი კაპიტალი	1739377	1605029	730989
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2680679	2173354	1375286

დირექტორი: ნინო ჭაია



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ვალუტა -ლარი

	31/12/2024	31/12/2023
საქმიანობის შედეგები	4366546	4773053
სხვა	0	1839
გაყიდვების თვითღირებულება	-2510026	-2682551
საერთო მოგება	1856520	2092341
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-1238031	-849810
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-116328	-103993
იჯარის ხარჯი	-27438	-25143
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-321424	-225434
სულ საოპერაციო ხარჯები	-1703221	-1204380
საოპერაციო მოგება	<u>153299</u>	<u>887961</u>
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-18951	-13921
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	134348	874040
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	134348	874040

დირექტორი: ნინო ჯაია



შპს აისისტემსი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

1.ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს აისისტემსი ს/კ 405188069 (შემდგომში - „კომპანია“), საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კერძო კომპანიაა. რეგისტრირებულია 2017 წლის 2 თებერვლიდან, კომპანიის ძირითადი მიმართულებაა შენობის შიდა ელექტრული (ძალოვანი და საინფორმაციო) ქსელების მოწყობა, სასერვეროების მოწყობა , ამ ქსელის მომსახურება, გათბობისა და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი , მომსახურება .

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორი არის: ნინო ჭაია (01026006808) - 100%; ის ასევე არის კომპანიის დირექტორი.

იურიდიული მისამართი : თბილისი, საბურთალოს რაიონი, პლატონ იოსელიანის ქ., N 37, ბინა N89

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს .

2.მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს

შესაბამისობის განცხადება. კომპანია განეკუთვნება მე-3 ზომით კატეგორის, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს.)

ფუნქციონირებადი საწარმო. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს

საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით

დარიცხვის მეთოდი - სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე. ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით

შეფასების ვალუტა თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე.

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფულადი სახსრები მოიცავს კომერციულ ბანკში მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს და სალაროში არსებულ ფულს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების ან/და საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები

სავაჭრო მოთხოვნა თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

წინასწარი გადახდები (ავანსი). წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით, თუ ასეთი არსებობს. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება მისი გადატანა მოგებაში ან ზარალში.

მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი მარაგების გაყიდვის შემთხვევაში, მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯებში ჩამოწერა ხდება იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავალი.

ძირითადი საშუალებები

- **აღიარება და შეფასება:** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებ

- **შემდგომი დანახარჯები:** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.**

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში

სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები: ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა: კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავალი აღიარდება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

კომპანია შემოსავალს აღიარებს, როდესაც დაკმაყოფილდება ქვემოთ აღწერილი თითოეული ძირითადი შემოსავლის წყაროს აღიარების კრიტერიუმები.

ა) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ბ) მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯები აღიარდება მოგება—ზარალის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საოპერაციო იჯარა: იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მემფარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მემფარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ

ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ფული და ფულის ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.12.2024	31.12.2023	01.01..2023
ფული სალაროში	0	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	586308	919709	297928
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12460	23941	3
	598768	943650	297931

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.12.2024	31.12.2023	01.01..2023
მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან	442955	317657	72237
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები, საქონლის და მომსახურებისთვის	275522	67726	154811
	718477	385383	227048

6. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	709711	390306	299515
--------------------------------	--------	--------	--------

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სხვა მოკლევადიანი აქტივები ბიუჯეტში გადახდ	147954	0	70881
სხვა მოკლევადიანი აქტივები საბაჟოზე გადახდ	462	2157	143
	148416	2157	71024

8. გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა	ა/მანქანა	ოფისის აღჭურვილ სპეციალ ინვენტ	ავეჯი ოფისის	სხვა ინვენტ	არამატერიალური აქტივი	სულ
01.01.2023 წელი	194905	8163	378107	17597	121923	62542	783237
შემოსვლა/კაპიტალ	6178	0	47543	3953	15080	1500	74254
გასვლა/ჩამოწერა	0	0					0
31.12.2023 წელი	201083	8163	425650	21550	137003	64042	857491
შემოსვლა/კაპიტალ	26088	0	85567	22015	40470	0	174140
გასვლა/ჩამოწერა	- 2452		-4437				-6889
31.12.2024 წელი	224719	8163	506780	43565	177473	64042	1024742
დაგრივლი ცვეთა						0	0
01.01.2023 წელი	-80459	-4700	-151116	-6745	-36831	-23617	-303468
ცვეთის ხარჯი	-24344	-691	-54907	-2961	-15026	-6064	-103994
გასვლა	1830	0				0	1830
31.12.2023 წელი	-102973	-5393	-206023	-9707	-51857	-29681	-405632
ცვეთის ხარჯი	-24448	-554	-60558	-6772	-18843	-5154	-116327
გასვლა	490		2034				2524
31.12.2024	-126931	-5945	-264546	-16479	-70699	-34835	-519435
საბალანსო ღირებულება						0	0
01.01..2023	114446	3463	226991	10852	85092	38926	479769
31.12.2023	98110	2772	219627	11843	85145	34361	451858
31.12.2024 წ	97788	2218	242234	27086	106774	29208	505307

ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით და ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31.12.2024

31.12.2023

01.01..2023

ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან	105423	107251	63789
საგადასახადო ვალდებულება	0	36412	0
მყიდველებიდან მიღებული ავანსი	833819	414362	580508
სხვა ფინანს ვალდებ თანამშრომლებთან	2060	10300	0

941302

568325

644297

10. კაპიტალიმფლობელთა
კაპიტალი

მოგება/ზარალი

სულ
კაპიტალი

01.01.2023 მდგომარეობით	500	730489	730989
კაპიტალის ზრდა	0		0
კაპიტალის შემცირება	0	0	-0
გაცემული დივიდენდი	0	0	0
2023 წლის ფინანსური შედეგი	0	874040	874040
31.12.2023 მდგომარეობით	500	1604529	1605029
კაპიტალის ზრდა	0		0
კაპიტალის შემცირება	0	0	0
გაცემული დივიდენდი	0	0	0
2024 წლის ფინანსური შედეგი	0	134348	134348
31.12.2024 მდგომარეობით	500	1738877	1739377

31.12.2024

31.12.2023

11. შემოსავლები

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	4366546	4 773 053	
სხვა		1839	
	4366546	4774892	

31.12.2024

31.12.2023

12. თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-2510026	-2 682 551	
----------------------------------	----------	------------	--

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

31.12.2024

31.12.2023

ბანკის მომსახურების ხარჯი	-9238	-4933	
სატენდერო მოსაკრებლები	-291	-540	
საკონსულტაციო იურიდი ხარჯები	-55850	-26801	
მცირეფასიანი სამუშაო იარაღები	-67049	-40985	
ტრანსპორტირების ხარჯი	-39671	-25197	
კომუნიკაციის ხარჯები	-6692	-3079	
კომუნალური ხარჯები	-8775	-5616	
ოფისის ხარჯები	-14851	-13026	
პირგასამტეხლო	-4227		
საწვავის ზეთი ფილტრი ხარჯი	-14603	-5107	
დაზღვევა	-104	-192	
ექსპლოატაციის ხარჯები			
რემონტის ხარჯები	-3538	-3586	
დამხმარე მასალ ხარჯი	-11503	-13099	
სხვა საგადასახადო ხარჯი	-5174	-5646	
მივლინების	-63562	-75158	
სხვა საერთო ხარჯი	-16295	-2469	

-321424**-225434**

14. სხვა სრული შემოსავალი და ხარჯები

31.12.2024

31.12.2023

ზარალი საკუროსო სხვაობიდან	-20802	-13921	
სხვა	6214		
ზარალი ძირ საშ რეალიზაციიდან	-4363		
	-18951	-13921	

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ხელმძღვანელობა	მფობელი
ხელფასები 2023 წ	100128	
ხელფასები 2024 წ	212434	
დივიდენდი 2023 წ		0
დივიდენდი 2024 წ		0
	312562	0

17. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომ, ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.

დირექტორი: ნინო ჭაია

